

ქეთუთა ალექსი-მესხიშვილი  
'making food out of sunlight'

11.04 - 16.06.2024

LC Queisser

“მე ყვავილები არ მინატრია. უბრალოდ, თავსუკან ხელებგადაყრილს  
წოლა მსურდა, ყველაფრისგან სრულიად დაცლილს;  
თავისუფალს, შენ არ იცი, რარიგ თავისუფალს –  
უკიდევანო, განმაცვიფრებელ სიმშვიდეში;  
როცა არაფერი მოგეთხოვება სანაცვლოდ...”

ხილვია პლათი, „ტიტები“, 1962 წ

ისტორიის შუქი ასხივებს, აღბეჭდავს სურათებს გონების ნაკუწებზე: ზუსტად 35 წლის წინ, 9 აპრილს, თბილისში დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართულ სტუდენტების მშვიდობიან პროტესტს ძალადობით შეხვდა საბჭოთა არმია, რის შედეგადაც დაიღუპა და დაშავდა მრავალი. აპრილის ამ რიცხვების უკვდავსაყოფად იცვლება ტიტები, მეუპოვრობის სამახსოვროდ. წარმოდგენილ გამოფენაში, რომელიც თავს უყრის საღებავის სუბლიმაციის ტექნიკით შესრულებულ ახალ პრინტებს, ანალოგურ ფოტო-ნამუშევრებს და მის მეორე საავტორო ფილმს, „ინტერიერი“, ქეთუთა ალექსი-მესხიშვილი აბაცებს საჯაროსა და კერძოს შორის არსებულ განსხვავებებს სიცოცხლის სივრცესთან გადაკვეთით, რათა მიანიშნოს წინააღმდეგობის საიტებზე, ხაზად რომ გასდევს სურათებს, რომელთა საშუალებითაც არქივდება, როგორც ქართულ კულტურა, ისე მისი საკუთარი მიმართება დროსთან.


გამოფენა ასევე ეძღვნება ბერლინში მცხოვრები ებრაელი ფოტოგრაფის, ფლორენს ჰენრის დაფასებას, რომლის ავტოპორტრეტებისა და ექსპერიმენტული ყვავილების კომპოზიციების ძიება ტრადიციულად იქნა შეწყვეტილი მეორე მსოფლიო ომის დაწყებით. ჩვენს ეპოქაში მიმდინარე მრავალრიცხოვანი მსოფლიო კონფლიქტების ფონზე, ჰენრის ფოტოგრაფების ურყევი აქტუალობა ალექსი-მესხიშვილს ხსნის იმედად ესახება. ალექსი-მესხიშვილის ვიზუალური სამეტყველო ენის დიდხნიანი განუყოფელი ნაწილი, ყვავილები, ამ ნამუშევრებში საკუთარი თავის და ისტორიის საყრდენი წერტილი ხდება. თანაბრად პოლიტიკური და პოეტური, ეს ფოტოები განაგრძობს რეპრეზენტაციისა და სიმბოლოს მითოსური ლექსიკის მისეულ სინტაქსს. იგი ხელახლა აჩარჩობს ტიტების დატვირთვას თანამედროვე ქართულ კულტურაში, პატივს მიაგებს რიგ ლირიკულ ციკლში გადატანით, ნიშნიდან ნატურმორტამდე. ატომიზებული კომპოზიციების სერიაში ის ობიექტებს სურათებად გარდაქმნის მათი უშუალოდ ფოტოგრაფიულ მედიუმზე აღბეჭდვით. სინათლემდე და ფერამდე დაყვანილი, მორვენებითი კვალი რჩება სიცოცხლის. ამ ნამუშევრებს უპირისპირდება გაუცხოებული ავტოპორტრეტები, რომელთა ტექსტურაც დამუშავებულია ანალოგური და ციფრული მედიის საშუალებით. სარკეებსა და ყვავილობებს შუა, ხელოვანი მონიშნავს იმ გარჯას, რაც თან ახლავს შევიწროების პასუხად წინააღმდეგობაში ჩართულობას, ისტორიის რღვევის პირისპირ. ეს ავტოპორტრეტები მზერას მისსავე თავზე გარდატეხს, გაბზარული mise en abyme (სურათი სურათში), რომელიც საკუთარი თავის ხედვას კითხულობს არა ააღებულ კოსმოსად არამედ, როგორც ხელოვანი წერს, უსასრულობის მოწმედ.

ახალ ფილმში „ინტერიერი“ ალექსი-მესხიშვილი იკვლევს ხელოვნების მიძიმე სტატუსს საქართველოში, რომელიც საბჭოთა ცენზურის წინააღმდეგ არსებობდა. ნამუშევრები, რომლებიც არ იყვნენ სოციალისტური რეალიზმის მიზნების გამტარი, ხშირად ვრცელდებოდა კომერციულ და ინსტიტუციურ ქსელებს მიღმა, გარეუბლების და გაცვლის აქტებით. ფილმი იძიებს კოლექციებს ორ კერძო სახლში, მათ შორის სიმონ ვირსალაძის სახლ-მუზეუმში. მასში მოქცეული ნამუშევრები, არა მხოლოდ შეიკვდებოდა საბჭოთა ოკუპაციის ცხვირწინ მიმდინარე ტრანსგრესიულ და ფორმალურად კრიტიკულ პრაქტიკებს, არამედ ემოწმებოდა წინააღმდეგობას, ადრულს კერძო სივრცეში, მანამ სანამ ათწლეულების შემდეგ ქუჩაში გამოვიდოდა. აქ ხელოვნება იხელთებს სილამაზეს და ნიადაგს უყრის დიალოგს, რის პარალელურადაც, წინააღმდეგობრივ სივრცეს იკავებს და უკვდავყოფს დაჟინებას – წარმოადგინო ახალი შესაძლებლობები.

ალექსი-მესხიშვილი თავის შემოქმედებას გულწრფელ ჟესტში აფუძნებს, ცინიზმისა და ირონიის რეჟიმისგან დაცლილებით. ასეთი ზღვრული სასურათე პროსცენიუმების ფარგლებში, ეს გაფანტული და ორნამენტული კომპოზიციები გაიხსენებს ვრცელ და ვიწრო ისტორიებს და ოჯახურ და გლობალურ დეტალურ ურთიერთობებს. მის ინტიმურ ჩარჩოში, ეს წმინდა ინტერიერები ხდება ტირანიის შედეგად დაკარგული უსახელო წმინდანების კიდობნები. როგორც ერთიდან მეორეზე ყვავილის გადაცემა ხდება ჩაგვრის ისტორიული მოცემულობის და გამოსატყვის შეზღუდვის წინააღმდეგ სოლიდარობის და ძალის ნიშანი, ასევე ინდივიდუალური ყვავილობა, ფხვიერი და მთრთოლარე ონტოლოგიურ გამჭვირვალებებაში, სიგნალს გასცემს მშვიდობის სიმყიდის აუცილებელ მოფრთხილებაზე.

- მიქაია ჰახია

\*Interior, 4:50 წთ. კინემატოგრაფია- ტატო კოტეტიშვილი  
მაღლობა ელენე აბაშიძესა და სოლომონ ვირსალაძის სახლ-მუზეუმს



1. ქეთეთა ალექსი-მესხიშვილი  
*Tulip Season for Henri*  
Analog C-print  
32 × 41.4 სმ

6. ქეთეთა ალექსი-მესხიშვილი  
*Interior, 2024*  
16 მმ, გაციფრებული  
4:15 წთ.

2. ქეთეთა ალექსი-მესხიშვილი  
*making food out of sunlight*  
*(twilight), 2024*  
Dye sublimation ალუმინზე  
125 × 100 სმ

7. ქეთეთა ალექსი-მესხიშვილი  
*A Life's Work*  
Analog C-print  
41.4 × 32 სმ

3. ქეთეთა ალექსი-მესხიშვილი  
*Tulip Season Tutu*  
Analog C-print  
41.4 × 32 სმ

8. ქეთეთა ალექსი-მესხიშვილი  
*making food out of sunlight*  
*(dawn), 2024*  
Dye sublimation ალუმინზე  
125 × 100 სმ

4. ქეთეთა ალექსი-მესხიშვილი  
*Tulip Season Wave*  
Analog C-print  
41.4 × 32 სმ

5. ქეთეთა ალექსი-მესხიშვილი  
*making food out of sunlight*  
*(sunrise), 2024*  
Dye sublimation ალუმინზე  
125 × 100 სმ